ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 27 სექტემბერი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის"
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------ სექტემბრის ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №412677269) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების, კერძოდ: 1. მდებარე - ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-ის მიმდებარედ (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.26.473; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით - 985.00 კვ.მ. და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა №1; (ჯომარდობის სპორტული აქტივობის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა - ჯომარდობის მიმღები ბაზა)); 2. მდებარე - ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი №15ა-ს ჩრდილოეთით (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.05.23.775; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით - 4204.00 კვ.მ მასზედ მოწყობილი ჰოკეის მოედანი და შენობა-ნაგებობები №1; №2) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" (საიდენტიფიკაციო კოდის №412677269) არსებობის ვადით. გადაცემული ქონებები იურიდიული პირის მიერ გამოყენებული უნდა იქნას მისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების,
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის
სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის"
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" მმართველის მომართვა, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაიში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-ის მიმდებარედ (ჯომარდობის სპორტული აქტივობის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა - ჯომარდობის მიმღები ბაზა) და ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, №15ა-ს ჩრდილოეთით (ჰოკეის მოედანი) მდებარე უძრავი ქონებების სარგებლობაში გადაცემას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს უძრავი ქონება მდებარე ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-ის მიმდებარედ (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.26.473; არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით 985.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობა №1) და ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა II შესახვევი №15ა-ს ჩრდილოეთით (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.05.23.775; არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით - 4204.00 კვ.მ მასზედ მოწყობილი ჰოკეის მოედნით და შენობა-ნაგებობებით №1; №2) მდებარე უძრავი ქონებები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №412677269) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-ის მიმდებარედ მდებარე (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.26.473; არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით - 985.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობა №1 (ჯომარდობის სპორტული აქტივობის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა - ჯომარდობის მიმღები ბაზა)) და ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა II შესახვევი №15 ა-ს ჩრდილოეთით (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.05.23.775; არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით - 4204.00 კვ.მ მასზედ მოწყობილი ჰოკეის მოედნით და შენობა-ნაგებობებით №1; №2) მდებარე უძრავი ქონებების სარგებლობაში გადაცემა.

უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" (საიდენტიფიკაციო კოდის №412677269) არსებობის ვადით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს. 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ფორმდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის. მე-4 პუნქტის შესაბამისად ,,მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ასევე, მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, ,,5. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. 6. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს".

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი